ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 118

ქალაქი ქუთაისი 24 მარტი 2020 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30-ე სხდომის
მოწვევის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2020 წლის 18 მარტის N115 ბრძანების ძალადაკრგულად
გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 მარტის ბიუროს სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით ქვეყანაში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, გადაიდოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30-ე სხდომა საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის 24 მარტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30-ე სხდომის მოწვევის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2020 წლის 18 მარტის N115 ბრძანება.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 მარტის ბიუროს 42-ე სხდომის ოქმი წინამდებარე ბრძანების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია